

საქართველოს ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #019/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა ქურდაძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

კლიენტის მიმართ ცრუ ბრალდებით აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც კლიენტის ოჯახმა მიმართა ადოკატს, საადოკატო მომსახურების გაწევაზე შეუთანხმდა ზეპირი ფორმით და წინასწარ გადაუხადა საადოკატო მომსახურების თანხა 1000 ლარი. ადოკატი კლიენტის განმარტებით არ ცხადდებოდა სასამართლო სხდომებზე და არ ნახულობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ამავე დროს კლიენტის ოჯახის წევრებს არ პასუხობდა სატელეფონო ზარებზე. ადოკატს მონაწილეობა არ მიუღია სასამართლო სხდომებში, როდესაც საქმეზე დაკითხეს მოწმეები და ექსპერტები. ადოკატი სასამართლომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო დააჯარიმა 400 ლარით და კლიენტს სავალდებულო წესით დაუნიშნეს ადოკატი. კლიენტი ითხოვს ადოკატზე გადაცემული ჰონორარის უკან დაბრუნებას, რომ ახალი ადოკატი აიყვანოს, რადგან ადოკატი არ უწევს საადოკატო მომსახურებას.

პროცესუალური ისტორია

დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადოკატს აღებული საადოკატო მომსახურების თანხის სანაცვლო მომსახურება კლიენტისათვის არ გაუწევია, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა „ადოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი; ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები. დისციპლინურმა კოლეგიამ ვერ მოახერხა ადოკატთან დაკავშირება მის მიერ მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციაზე დაყრდნობით. ადოკატს ეთიკის კომისიისათვის ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

სამართლებრივი შეფასება

ადოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადოკატმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და დაცვა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კლიენტის დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, ადოკატის ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ამ შემთხვევაში ადოკატმა ეს ვალდებულება არ შეიტავს, სრულიად საკუთარი პროფესიული ვალდებულებების დარღვევით აწარმოა ურთიერთობა კლიენტთან.

კლიენტი მაქსიმალურად ჩართული უნდა იყოს საქმის მიმდინარეობის პროცესში, ადოკატი კლიენტს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მასთან შეთანხმებული წესის მიხედვით სრულად და კლიენტისათვის გასაგებ ენაზე. ამ შემთხვევაში ადოკატი თავს არიდებს კლიენტის ინფორმირებულობას და კლიენტს უკარგავს ადოკატის მიმართ გაჩენილ ნდობას.

დასკვნა

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c4c3a56a1290.pdf/5c4c3a56a1290.pdf>

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით და ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.